**სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო**

დავით აღმაშენებლის გამზირი №150
0112 თბილისი, საქართველო
+995 32 2439503 / +995 32 2439510
info@nea.gov.ge
nea.gov.ge

21 აგვისტო 2026

N 21/12392

**მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიას**

გაცნობებთ, რომ 2026 წლის 13 აგვისტოს შპს „ცეკურმა“ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საქმიანობის **(მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელი ძეგვში შპს „ცეკურის“ ასფალტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება)** ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შესახებ განცხადება. განცხადება თანდართულ დოკუმენტებთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე: https://ei.gov.ge/. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე: https://ei.gov.ge/ka/info/fce69387-c580-4f09-b8c5-0630b6238b69. ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ განცხადებასა და თანდართულ დოკუმენტებთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარმოადგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში **2026 წლის 18 სექტემბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნების/მოსაზრებების ელფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს).

ასევე გაცნობებთ, რომ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ თანახმად ვალდებულია, უზრუნველყოს კოდექსით გათვალისწინებული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გიგზავნით შპს „ცეკურის“ ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ განცხადებას თანდართულ დოკუმენტებთან ერთად და გთხოვთ, უზრუნველყოთ წარმოდგენილი განცხადების განთავსება თქვენი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე, ოფიციალურ ვებგვერდზე და წარმოგვიდგინოთ აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალა.

*დანართი: 2 (ორი) ფაილი*

პატივისცემით,

თამარ შარაშიძე

სააგენტოს უფროსის მოადგილე - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/12392-21-2-202608211252